ინტერიერის დიზაინი და 3D ვიზუალიზაცია

ლექტორები

ანი რატიანი
ლევან ღავთაძე

მოწვეული ლექტორი

დაჩი ხაზალია

კურსის დრო

- სალექციო შეხვედრები - 6 თვე
- 4 გასვლითი შეხვედრა
- პრაქტიკა

სასწავლო კურსის მიზნები

ინტერიერის დიზაინი და 3D ვიზუალიზაციის კურსის მიზანია მონაწილეებს მისცეს ინტერიერის დიზაინისა და 3D ვიზუალიზაციის მიმართულებით პრაქტიკული და პროფესიული მუშაობისთვის საჭირო ცოდნა და უნარები. კურსის ფარგლებში მონაწილეები შეისწავლიან ინტერიერის დიზაინის ძირითად პრინციპებს, სივრცის დაგეგმარებას, მასალებისა და განათების შერჩევას, ტექნიკური ნახაზების მომზადებას, Archicad-სა და 3ds Max-ში მუშაობას, 3D მოდელირებას, ფოტორეალისტური რენდერების შექმნასა და Photoshop-ში პოსტპროდაქშენს.

კურსი ასევე მოიცავს თანამედროვე AI ინსტრუმენტების გამოყენებას ვიზუალიზაციის პროცესში, ინტერიერისა და ექსტერიერის ანიმაციის შექმნას, კლიენტთან მუშაობის, ხარჯთაღრიცხვისა და პროექტის საბოლოო პრეზენტაციის პრინციპებს. კურსის დასრულების შედეგად მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა შექმნან სრულყოფილი ინტერიერის პროექტი და პროფესიული პორტფოლიო, რომელიც მათი შემდგომი კარიერული განვითარებისა და რეალურ პროექტებზე მუშაობისთვის იქნება გამოყენებული.

სასწავლო კურსის შინაარსი

მოდული 1: ინტერიერის დიზაინის თეორიული ნაწილი

მოდული 2: ARCHICAD

მოდული 3: 3DS MAX

მოდული 4: AI და ანიმაცია

მოდული 4: ექსტერიერის დიზაინის საფუძვლები

პრაქტიკა

სასწავლო კურსის მოთხოვნები

- შესაბამისი კომპიუტერული უზრუნველყოფა
- პროგრამები: Archicad, 3Ds Max, Corona, Photoshop

ლექტორების შესახებ

ანი რატიანი

- ანი რატიანი არის არქიტექტორი, ინტერიერის დიზაინერი და ლექტორი მრავალწლიანი პროფესიული და აკადემიური გამოცდილებით;
- აქვს არქიტექტურის, ინტერიერის დიზაინის, სივრცეების დაგეგმარების, ტექნიკური ნახაზებისა და 3D ვიზუალიზაციის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება;
- კარიერის განმავლობაში მუშაობდა Tory Development-ში, Design Atelier-ში (Domus LTD), „კაფელის სახლში“ და Khedi•ხედი-ში არქიტექტორისა და ინტერიერის დიზაინერის პოზიციებზე;
- 2021 წლიდან არის კავკასიის უნივერსიტეტის ტრენინგ ცენტრის ტრენერი, 2023 წლიდან კი იკავებს ასისტენტ-პროფესორის პოზიციას კავკასიის უნივერსიტეტში;
- 2025 წლიდან არის საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი;
- მიღებული აქვს არქიტექტურის ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე;
- ფლობს Archicad, Autodesk Revit, 3D Max, V-Ray, Corona, AutoCAD და Adobe Photoshop პროგრამებს და გავლილი აქვს შესაბამისი პროფესიული სასწავლო კურსები;
- 2015 წელს თბილისის განვითარების ფონდის კონკურსში ურბანული განვითარების საუკეთესო იდეის ნომინაციაში გამარჯვებული გახდა, ხოლო 2018/2019 წლებში იყო თბილისის მერიის სტიპენდიანტი, როგორც წარჩინებული მაგისტრანტი;
- ანი პროფესიულ პრაქტიკას წარმატებით უთავსებს აკადემიურ საქმიანობას და სტუდენტებს უზიარებს როგორც თეორიულ ცოდნას, ისე რეალურ პროექტებზე დაფუძნებულ პრაქტიკულ გამოცდილებას.
- პორტფოლიო: https://www.behance.net/aniratiani11

ლევან ღავთაძე

- ლევან ღავთაძე არის არქიტექტორი და ინტერიერის დიზაინერი 8+ წლიანი გამოცდილებით;
- აქვს საცხოვრებელი და კომერციული სივრცეების დიზაინისა და პროექტირების გამოცდილება;
- ლევანი მუშაობდა როგორც არქიტექტურული, ასევე ინტერიერის დიზაინის პროექტებზე;

- Home Studio-ში მუშაობდა ინტერიერის დიზაინერად და არქიტექტორად (2019-2024), სადაც ქმნიდა კომერციული და საცხოვრებელი სივრცეების დიზაინს;
- აქვს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსების არქიტექტურული პროექტების ინდივიდუალურად დამუშავების გამოცდილება;
- 2022 წლიდან არის კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი;
- 2023-2025 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი;
- 2024 წლიდან არის „Modulus Project"-ის დამფუძნებელი, არქიტექტორი და ინტერიერის დიზაინერი;
- მიღებული აქვს უმაღლესი განათლება არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის მიმართულებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში;
- ფლობს როგორც არქიტექტურული პროექტირების, ისე ინტერიერის დიზაინის მიმართულებით პრაქტიკულ და აკადემიურ გამოცდილებას.
- პორტფოლიო: https://www.artstation.com/lghavtadze